საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №31, 03.11.2009, მუხ. 190) 153-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

„3. არ შეიძლება ყადაღა დაედოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 2^1 მუხლის 4^2 პუნქტით გათვალისწინებულ საპენსიო აქტივებს, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოთხოვნილია იმავე პუნქტში მითითებული შესაბამისი კანონით განსაზღვრული სუბიექტის მიმართ არსებული სადავო მოთხოვნიდან გამომდინარე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

28 ივნისი 2023 წ.

N3351-XIმს-Xმპ